

82-53-89

7 201

8



ბ. შარაზმნი

თ ა გ გ ო .

82-93: 821.353-1-1

ქვეთი

მეხტორ მალაზონია


80708
K 26708
1

~~824~~
~~200~~
~~33490~~

თ ა ვ ვ ი

(აზარული ზღაპარი)

12734
~~21672~~



აზარის სახელმწიფო გამომცემლობა

ბათუმი

1939



დასრულებულია — მსაჯ. რ. რევაზიშვილი.



თ ა გ ვ ი

(აჭარული ზღაპარი)

1

იყო და არა იყო რა.


სხვა უკეთესი რა იქნებოდა:

ზღვა იყო—ტალღად იფათრებოდა,
მზე—ტალღებში რომ ყირავდებოდა,
ღრუბელი—მზეს რომ ეფარებოდა,
ქარი—ღრუბელს რომ ერეკებოდა,
მუნა—წვეროთი ცას რომ სწვდებოდა,
თაგვი—ღამით რომ ტყეტყე ძვრებოდა
დღით კი ეძინა, ხვრელში წვებოდა.

2

მუხის ქვეშ იდგა იგი თაგუნა—
ნაცრისფერი და მიწითხარია.
ეს კარმიდამო ბედმა არგუნა
და შიგ ჩასახლდა დიდინანია.

ღარიბი იყო და მარტოხელი,
ახსოვს—ერთიც არ გაუხარია,
მრავალი ოფლი დაღვარა ცხელი,
თავი ერთხელც არ შეუფხანია,




და ასე შექმნა სავსე ბედელი,
უხვად ელაგა შიგ ყველაფერი:
თხილი, კაკალი, პური და ქერი,
ქონი, კუპატი, ყველის ნაჭერი...

ჰქონდა მდიდრული სახლი და ქერი,
ნოხი, ფარდაგი კარგი და ბევრი,
საწოლ-საგები სხვადასხვა ფერი,
ფარჩა დივანზე გადასაფენი,

თავთავის დროზე ძილი და ჯერი
და კიდევ ბევრი სხვაც ამათ გარდა...
ჭამდა, ლხინობდა, და გულნაჯერი
იმ მუხის ფესვებს ხრავდა და ხრავდა!..

3

ივლისის ცხელი დღე იღვა,
წვავდა ბალებს და ყანებს,
ზღვა გაშლილიყო ქვევით და
ლოკდა ნაპირებს მწვანეს.



ზღვა გადასერეს გემებმა,
ლურჯი ტალღები ხშირი.
გემი ცურავდა ვეება,
როგორც ჩალა და ჩხირი...

თაგუნას ძილი გაუტყდა,
ხვრელში რომ ჩადგა სიცხე,
სოროდან გარეთ გაუყვა
და მერე ზევით, მთისკენ.

შედგა ერთ კლდეზე მომაღლოთ,
შუბლს რომ სიგრილე მისცეს,
ქვეყანას თვალი მოავლო
და ლურჯად გაშლილ სივრცეს...

გაოცდა ჩვენი წრუწუნა,
ფართოდ დააღო ხახა,
თვის ბედს გაჩენა უწუნა
და ლურჯ ზღვას გადასძახა:

—ეს რამოდენა გაზრდილხარ—
თვალუწვდენი და ფართო,
თუნდა ქვეყანას დასწიხლავ
ერთი დაკვრით და მარტო!



ზღვარ, მისმინე რაც გითხრა,
გთხოვ და ნუ დამაღონებ:
დამითმე, თუ ვაჟკაცი ხარ,
შენი ძალა და ღონე!..

ზღვა შეტორტმანდა, შეინძრა,
ლურჯი დააღო ხახა
და საყვედურით ქვევიდან
თაგუნას შემოსდახა:



—რად გეხარბება ეს სისხო,
 ან სიფართე და ღონე?
 ჩემზე უძლური ამ ცისქვეშ
 არც უნდა იყოს, ვგონებ!

რამდენ მდინარეს არა ვსვამ,
 სითხეს სხვადასხვა ნაირს,
 მაგრამ ნაპირზე გადასვლა
 ვერ მოვახერხე მაინც!


თან ვიზრდები და თან ვშრები
 დასაბამიდან მუდამ,
 და ტიტლიკანა ბავშვები
 მწიხლავენ როცა უნდათ!

შეე ცეცხლის თვალით დამცქერის,
 და მეც ვტირი და მოვთქვამ:
 მისი სხივების ჩანჩქერი
 ჩემ წყალს იტაცებს ორთქლად!

4

თაგუნამ შუბლი იჩრდილა—
 თათი მიიღვა ცალი,
 და ზეცისაკენ იშვირა
 შურით აღსავსე თვალი.

მოშორებული ქვეყნიდან
წითლად ეღვარე რგოლი,
ცას მხარზე გადმოეკიდა
მზე, როგორც ცეცხლის დოლი.



უფრო გაოცდა თაგვი და
თვალი დააღო ფართოდ,
გადმომდგარს ლურჯი თალიდან
ახლა შესძახა მნათობს:

—მზეო, ქვეყნიდან გაქრილო,
სხივთა მფრქვეველო ზღვაზე!
მითხარ, რა არის საჭირო,
ღონით რომ ვიყო სავსე?

თუმცა დიდი ვარ, ძლიერი,
დაჩაგრული ვარ მაინც:
მჩაგრავს ღრუბელი ცბიერი
ქვეყნის ბატონს და რაინდს!


ცას გაეკვრება თავხელი,
როგორც ძონძი და ჩვრები,
და სადაც გინდა წახვედი:
თვალახვეული ვრჩები!...

5

უცბად გამართლდა ნათხრობი,
თავვი რომ ხედავს ისე,
და ცეცხლოვანი მნათობი
გაჩნდა ღრუბლის ქვეშ მყისვე.

ღრუბელმა ფრთები გაშალა,
მონაცრისფერო ფრთები.
ხან მოშავოდ და ხან შავად
ჩანდა ჭალა და მთები.

უფრო გაკვირდა თავუნა,
უფრო დააღო ხახა,
ჯერ წუთით თავი ჩაღუნა
და შემდეგ შეუძახა:



— შენ, უძლეველო ღრუბელო,
 მზის დაფარვა რომ შესძელ!
 მეც მინდა ასე უბელოდ
 ვიჯდე ცის ლურჯა ცხენზე!

- მეც მინდა ვიყო შენსავით
 ძლიერ ფართო და მუქი,
 მზე რომ გავხადო მკვნესავი,
 მზეს რომ წაკართვა შუქი.

კარგად მისმინე, რაც გითხარ,
გთხოვ და ნუ დამაღონებ:
დამითმე, თუ ვაჟკაცი ხარ,
შენი ძალა და ღონე!

ღრუბელმა წარბი მოწურა,
მიწას დახედა კუშტად
და ასე უთხრა წრუწუნას—
ძალის და ღონის მუშტარს:

— ყველა სიხარულს განიცდის—
ბევრს უთქვამს შენზე წინაც,—
როცა გვალვიან ყანისთვის
გამიგზავნია წვიმა.

ვაშინებ დიდს და პატარებს
მთაში, ტყეში და ველზე,
ელვას სანათად ვატარებ,
მეხის გასასროლს ვეძებ...

მაგრამ ქარი რომ აიწყვეტს
და შეაჯდება რაშებს,
ცაზე ბორიალს დავიწყებ,
ბურთივით მათამაშებს!..

— ეს ქარი რაღა დარღია,
მე რომ არ ვიცნობ, ნეტავ?
ტყეში ხომ ხშირად დავდივარ,
მიყვარს ბუნების ჭკრეტა!..

ამ დროს გაისმა გრიალი:
ქარი მთა და ბარს არხევს,
და როგორც მგზავრი გვიანი,
კარზე მიეჭრა სახლებს.





ხეებს ტოტები დასტეხა,
 ზღვაზე აშალა ტალღა.
 ტყე რომ მოღეწა ამდენხანს,
 ცაში აიჭრა ახლა.

33490


და ნაკუწ-ნაკუწ დაფლითა
 მუქი ღრუბლების ქულა...
 თაგვი კი უცქერს დაბლიდან,
 კლდეზე რომ დაცუცქულა.

— არა, რა ქნა ამ თავხედმა,
 რა სათამაშო ნახა!
 მთაში მსტვინავ ქარს გახედა,
 ხმამაღლა მიაძახა:

26702

— ეი, შენ, ქარო—ბორიავ,
 ღრუბელს რომ უხმლოდ ჩეხავ!
 ახლა დავრწმუნდი—სწორია,
 სხვებზე ძლიერი შენ ხარ!

მომეცი შენი ძალ-ღონე
 და სიტყვას გაძღევე, მენდე:
 შენი ერთგული გამგონე
 დავრჩები კუბოს დღემდე.





თაგმა იფიქრა; უხილავს
რისთვის დავსდევ და რატომ?
აქვე ვიშოვი მუხისგან,
რასაც ვეძებ და ვნატრობ!

— მუხავ! შენა გაქვს საკვებნი,
ისე ამაყად დგახარ.
ათას ქარსა და ქარტეხილს
წარბშეუხრელი გახვალ!

მეც მინდა შევხვდე უშიშრად,
რომ მოიჭრება ქარი;
ფოთლებდასხმული თუ შიშვლად
ვიყო შენსავით მდგარი.

მუხავ, მისმინე, რაც გითხარ,
გთხოვ და ნუ დამალონებ:
დამითმე, თუ ვაჟკაცი ხარ,
შენი ძალა და ღონე!

8

ახლა შეირხა ასი წლის
შეურხეველი მუხა,
სუფრა გაშალა მასპინძლის
და რკო დაყარა უხვად:

— მიირთვი, ჩემო ძამია,
და გთხოვ, ნუ მიაღერსებ...
სირცხვილი არ გვიჭამია
არც მე და არც ჩემ ფესვებს!

შევეჭიდები მთას და კლდეს,
მოძალადეს და თავხედს,
აბა ქარი რას დამაკლებს,
თუნდაც მძინარეს დამხვდეს...



მაგრამ აქავე, კლდის ძირში
 თავი გაჩნდაო მითხრეს,
 და იგი მხეცი საშიში
 ფესვებს მიხრავს და მითხრის.

შიშით გავხმი და გავლაჩრდი,
 სიკვდილს მოველი პირშავს:
 თავის კბილებს თუ გადავრჩი,
 სხვაფრივ აღარა მიშავს!..

9

—აი თურმე სად მქონია,
 რასაც ამდენხანს ვეძებ!
 ახლა თუ სადმე ქონია,
 იმის ნახვასაც შევძლებ!

ხერელს და სოროებს დავტოვებ,
 ველ და მინდვრებზე გავალ.
 აკი ხარისხი ვიპოვე,
 თავი კი არა სხვა ვარ!

ხელად გასწორდა წელში და
 წამსვე დატოვა მუხა.
 გაფრინდა, როგორც მწყერჩიტა,
 გამჩენს მადლობა უთხრა.

მეც მინდა ვლევო მთა-ბარი,
ხეები ტყედ და თითოდ,
და ცაზე ღრუბლის ფაფარი
ვატრიალო და ვფლითო.

ქარო, მისმინე, რაც გითხარ,
გთხოვ და ნუ დამაღონებ:
დამითმე, თუ ვაჟკაცი ხარ,
შენი ძალა და ღონე!

ქარმა მთის წვერი დატოვა,
ხევში შეიჭრა კენესად,
ნახა, რომ თაგვი მარტოა,
და წასჩურჩულა კლდესთან:

— სუყველას ასე ჰგონია,—
მე ხომ არ მიყვარს კვებნა,—
რომ ჩემი ძალა-ღონეა
უძლიერესი ქვეყნად.

ფიქრობენ, რაკი ვნავარდობ,
ვიკლებ ტყესა და ჭალას,
რაკი ვატარებ ხომალდებს,
როგორც ჩხირსა და ჩაღას,—



მართლაც ყველასთან ასე ვარ
წელმაგარი და მარდი,
არ ვიცი ფიქრის წასევა
და არ მაწუხებს დარდი.

მაგრამ გულს მიკლავს ერთი რამ
და ერთ რამეზე ვწუხვარ:
მთელ ჩემ სიცოცხლეს შევწირავ,
ოღონდ მოვთხარო მუხა!..

7

პირი იბრუნა მწუხარედ
თაგვმა აქოჩრილ ზღვიდან
და გაცუნცულდა იმ მხარეს,
სადაც ის მუხა იდგა.

მივიდა, მაგრამ რა ნახა!
ქარი ამაოდ ცხარობს:
მუხა გაშლილა ამაყად,
დგას და ისევე ხარობს.

თითქოს რკინაა ნაღესი,
რკინის კუნთები ჰქონდეს,
თითქოს ბორიოს აღერსი
და არა ქარი ჰქროდეს!..



რა შეაჩერებს! რა მოღლის!
 თავი მიდის და მიდის.
 მუხა დატოვა მთას მოღმით,
 მთაც გადასჭრა და ხიდიც!

ბოლოს, ქალაქის მახლობლად
 გაჩნდა წისქვილის მხეცი,
 და თითქოს რაზეც ნაღვლობდა,
 თითქმის უჭირავს ხელში!

და სიხარული შეუდგა
 ახლა ორივე მხარში:
 უკვე მოისმის შორიდან
 დოლი, ცეკვა და ტაში.

რა სიხარულის მთებია!
 როგორ აჩქეფდა სისხლი!
 მოსვლა გაუგეს, ხვდებიან,
 თავებს დახრიან მის წინ!..



კლდეზე ამაყად ავიდა,
 იქ, სადაც იყო წახან,
 ისევ დაიწყო თავიდან,
 მაგრამ სხვა კილო, სხვა ხმა:


—ზღვავ, ხმა შესწყვიტე ყურის წამლები!
 მზევ, არ დააშრო ლურჯი ტალღები!
 ღრუბელო, მზეს ნუ დაეფარები!
 ქარო, ღრუბელს ნუ გაეკარები!
 მუხავ, წვეროთი ცას ნუ მისწვდები!
 მე კი—ვისვენებ, ჩრდილში მივწვები!

10

ზღვა არ ხმაურობს, გაქვავდა.
 მზე მოერიდა ტალღებს.
 ჯანღი—მზის მტერი აქამდე—
 ზეცის მოსცილდა თაღებს.


ქარმა მონახა ბუნავი,
 მთას არ უსტვენს და უბღვერს,
 არც მზის დასაჯდომ ბინამღი
 მიეკერება ღრუბელს.

ბუხამაც წვერო დაღუნა,
შეწყდა სიო და სუნთქვა:
თვითონ ბატონი თაგუნა
იწვა იელის ბუჩქთან!



ტუჩზე ეკერა ღიმილი,
ვარდის ფერებში კრთოდა,
და წყვილი თვალი მძივივით
შვადმოხუჭული ქონდა.

ნახევარ ძილში ოცნებას
ფრთა გაეშალა ფართოდ:
უკვირდა ამ დღის მოსწრება
ზღვის და ხმელეთის ბატონს!



— წავალ, წუთსაც არ დავაცლი! —
 თავი თავისთვის ამბობს —
 ყველა ნამდვილი დიდკაცი
 სადმე ქალაქში სახლობს.

მე კი სოროში ვბერდები,
 შრომით პირში სულს ვიძრობ,
 გაფხეკილი მაქვს ფერდები,
 ზვრელი ისეა ვიწრო!

წავალ!..
 დასკვნამდე მივიდა,
 ფიცხლად წამოხტა ზეზე,
 იელის ბუჩქის ძირიდან
 წამსვე გავიდა მზეზე,


თვალი მოავლო ზღვის ნაპირს
 და იღიმება თავვი:
 ხედავს დაბლობში, პირდაპირ
 შარას გამართულს მთამდი.

ამ მთას იქით ძევს ქალაქი —
 ერთხელ უნახავს იგი —
 უცხოდ ნაშენი ალაგი
 აკრავს იმ ქალაქს ირგვლივ.

შიგ კი—
ქუჩები,
ბაღები,
ავტო,
გემი და ნავი,
სახლი და კარი ნაღები,
საქმელ-სასმელის ხვაფი...

წადი—სინათლე იხილე,
გზის ნუ გაშინებს სიგრძე!
წადი—იცხოვრე, ილხინე,
ქვეყნის სიამე იგრძენ!..





13


მაგრამ შეწუხდა თავუნა,
პირში გაუშრა ნერწყვი:
ახლა ჭამა და სმა უნდა,
კუჭი სიმშილით ეწვის,

და იქვე გადაუხვია
ჩვენმა უგნურმა მხეცმა;
თავის სურვილი უხვია,
ქონის სუნი თუ ეცა!..

აი, ქალაქის ზრდილობა!
თურმე, წისქვილი რომ დგას,
მთელი ქალაქი ცდილობდა
შეხვდეს ბრწყინვალე მოდემას!

აბა რად უნდათ ფიცარზე
ჩანგლით დაკრული ქონი!
ამ პურ-მარილით ჰფიცავენ—
ასე იციან მგონი!..

მიცოცდა.
ტუჩი მომართა.
მისწვდა.
მოცუცქნოს უნდა...
—ხაფ!!!
და ფიცარი ბორბალთან
შეხტა და გადაბრუნდა...



ზღვა—ისევ ტალღად იფაფრებოდა!
 მზე—იმ ტალღებში ყირავდებოდა!
 ღრუბელი—იმ მზეს ეფარებოდა!
 ქარი—იმ ღრუბელს ერეკებოდა!
 მუხა—წვეროთი ზეცას სწვდებოდა!
 თავს კი—ხათანგში სული სძვრებოდა!..







113